# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებები მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „დროებაზედ" პირველის ნოემბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

25 ოქტომბერს.

ორენბურგი. საქონლის ჭირი მოისპო.

ბერლინი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე მოვა აქ პარიჟიდამ 30 ოქტომბერს.

პარიჟი. «ბირჟის გაზეთი» არღვევს იმ ხმებს, ვითომც მოლაპარაკება ჰქონდეთ რუსეთის ასი მილიონის ოქროს სესხის გამოცემაზედ.

ლონდონი. კანადის ახალმა გუბერნატორმა ლორდმა ლანსდაუნმა მიიღო რამდენიმე წერილი, რომლებშიაც მოკვლას ემუქრებიან.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 1 სექტემბრის ბალანსის გამო, ამას წინად «ბირჟის უწყებებში» დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორიც ცდილობს დაამტკიცოს, ვითომც საზოგადოებას საჭირო ვალდებულებათა შესასრულებლად აკლდებოდეს 7,380,000 მანეთი, რომელნიც «განქრენო». ამ წერილის გამო, დღეს ს ზოგადოების გამგეობამ დაბეჭდა განცხადება, რომლითაც ამტკიცებს, რომ ხსენებული წერილი სრულიად ცრუ შედეგებზე და დიდს შეცდომებზე არის დამყარებული; ამ განცხადებიდგან, სხვათა შორის, სჩანს, რომ არავითარი 7 მილიონი არ «გამქრალა» და 22 სექტემბრამდინ 6,367,025 მან. ვალდებულებანი მთლად შესრულებულია. და სათავდარიგო თანხაც ხელ-უხლებელია.

სენატის ობერ-პროკურორს ტურს სრულიად შეემუშავებია პროექტი შესახებ არსებითი სავაჭრო წესდების შეცვლისა; პროექტი, სხვათა შორის, იპყრობს სავაჭრო სიგელის დებულების ახალს განყოფილებას.

გუშინ გარდაიცვალა მწერალი შკლერევსკი, ავტორი «გამომძიებლის მოთხრობებისა».

ალექსანდრია. აქ კიდევ ხუთი კაცი მოკვდა ხოლერით.

სამარკანდი. დღეს პარაკლისის შემდეგ კიახტის ვაჭრებმა გააცილეს ჩინეთის ექსპედიცია, რომელსაც შეადგენენ პოლკოვნიკი პრჟევალსკი, რობოროვსკი, იუნკერი კოზლოვი, თარჯიმანი, ორი ურიადნიკი, რომელნიც წინადაც ახლდნენ მათ, ოთხი სალდათი გრენადერის პოლკებისა და სამიც მე-5 ციმბირის ბატალიონისა, შვიდი ყაზახი ზაბაიკალის ჯარისა და ერთი დაქირავებული კაცი. ექსპედიცია მოაწყეს კიახტაში სამი კვირის განმავლობაში. 1885 წ. შემოდგომაზე ექსპედიცია დაბრუნდება ტაშკენტში.

ვენა. აქაური ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ სერბიაში მოძრაობა რადიკალებმა და პანსლავისტებმა მოახდინეს და ურჩევენ სერბიის მმართებლობას ენერგიულად იმოქმედოს, მაგრამ იმისთანა ზომანი კი არ იხმაროს, რომელნიც ხალხის თავისუფლებას ავნებენ.

---

თბილისი, 25 ოქტომბერს.

სამართლის რიგზედ წაყვანა, დაჩაგრულთა უფლების აღდგენა და დამჩაგვრელთა ალაგმვა შეადგენს ყოველ რიგიანად მოწყობილ საზოგადოებისათვის აუცილებელს პირობას, ურომლოთაც კაცთა საზოგადოება ნადირის ხალხის ხროვას მიემზგავსება, სადაც სამართლის მაგივრად ძალადობა უფლობს. ამისათვის საზოგადოების გამგებელთ ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმარონ სამართლის წესიერად დამყარებისათვის და ორივ მოპირდაპირე მხარეს მისცენ თავისუფლება თავის გამართლებისა. უნდა ასცილდეს სამართალს იმისთანა გარემოება, რომელსაც შეუძლიან ეჭვი დაბადოს შესახებ იმისა, რომ სამართლის მოწმები მოქმედობენ თავაზით, მიდგომით, ანგარებით. ამ საზოგადო აზრის განსამარტებლად შესანიშნავია თ. დიმიტრი თუმანიშვილის წერილი, დაბეჭდილი ჩვენის გაზეთის უკანასკნელ ნომრებში.

მკითხველმა თითონაც იცის და თ. თუმანიშვილის წერილიდამაც დაინახავდა, რომ მრავალი სადავო საქ-

---

«დროების» ფელეტონი, 27 ოქტომ

## ძველის ქართულის მცოდნენი!

(თავად მინგრელსკის საქმეების გამო)

(დასასრული*)

ამ უკანასკნელის მიწერილობით ოლქის სასამართლომ დაინახა, რომ დავით დადიანისაგან ჰქონდა ბძანება ჩაბარებისა ქვიბიის მთისა უზენაესს სასამართლოს 15 ოქტ. 1846 წ. და ამის მიზეზით მიანიჭა განჩინებით ქვიბიის მთა ზეგელიებს, როგორც მათი საკუთრება. ბ. ვექილს ტერ-სტეფანოვს მთელი ორი წლის განმავლობაში არ განუცხადებია ამ თარგმანზედ უკმაყოფილება; მხოლოდ განაცხადა ამაზედ ეჭვი მაშინ, როდესაც გადაიტანა 1874 წელში აპელიაცია პალატაში ამ საგანზედ. ბ. ტერ-სტეფანოვმა მოიყვანა აპელიაციაში საფუძვლად თ. მინგრელსკის სიმართლისა ორი საგანი: 1-ი ეს, რომ ზეგელიებს მის დღეში ამ მთაზედ ზრიგოლ დადიანის სიგელი არა ჰქონიათო და დავით დადიანი ან რას განიხილავდა, ან რას დაამტკიცებდაო; დასამტკიცებლად ამა აზრისა, იმან მიაქცია პალატის ყურადღება იმ საგანზედ, რომ უკანასკნელის წარწერილობით № 1917-თა დავით დადიანმა კი არ უბძანა უზენაესს სასამართლოს ზეგელიების ქვიბიის მთის ჩაბარებაო, მხოლოდ გადასცა რაღაც ქაღალდებიო და უბძანა, თუ დაინახოთ მთავრის ბოძებულობა, მაშინ დაუტევეთ მთხოვნელებს ეს მთა თავის სამძღვრებითაო, და ამიტომ ტერ-სტეფანოვმა, ითხოვა ეს ზემოხსენებული წარწერილობა დავით დადიანისა ხელ ახლად გადითარგმნოს ექსპერტების საშუალობითაო. პალატამ იცნო საფუძვლიანად მისი თხოვნა და დაინიშნენ ექსპერტები. მე არ შემიძლიან ვსთქვა, რომ ექსპერტებმა ქართული არ იცოდნენ მეთქი, ისინი ყველანი შესამჩნევნი პირნი იყვნენ და ამასთანავე კარგი ადგილის მქონენი რუსის სამსახურში. გამოვიდა რამდენიმე თვე და ხელ ახალ სხდომის დროს ექსპერტებმა წარმოადგინეს თავიანთი თარგმანი რუსულად. თარგმანი იმ გვარი გასაოცარი გამოჩნდა, თითქო ტერ-სტეფანოვს მათთვის დიქტოვკა გაუკეთებია ასე გადათარგმნეთო. რამდენად მართალია ეს აზრი, ვთხოვ მკითხველს მიაქციოს ყურადღება მათ თარგმანსაც და ზემოდ მოყვანილ ოლქის სასამართლოს თარგმანსაც.

თარგმანი ექსპერტებისა:

Верховному Управленію Мингреліи.

Сему Управленію передаю представленную при семъ дарованную владѣтелемъ грамоту на Квибійсъ-мта и послѣдовавшее относящееся до упомянутой въ оной (т. е. грамотѣ земли): Если Управленіе*) усмотритъ пожалованіе владѣтеля, тогда пусть оставитъ въ утвержденіи за просителемъ въ своихъ границахъ. 15 октября 1846 года.

მკითხველი ცხადად ჰხედავს, რომ ეს აზრი ისე არის გამოყვანილი, როგორც ტერ-სტეფანოვს უნდოდა; მე არა მსურს გამოვააშკარავო ის, რა რიგად მოხდა ეს თარგმანი, ან ვის საშუალობით; მე მხოლოდ მივაქცევ ყურადღებას რედაქციისას და აგრეთვე ვთხოვ სამს პირს, ესე იგი თავადს რაფიელ ერისთავს, ბ. გოგებაშვილს და მღვდელს ჯანაშვილს წაიკითხონ ეს თარგმანი, შეადარონ თარგმანი ექსპერტებისა და ოლქის სასამართლოსი დადიანის ნამდვილს აზრს, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი და სინიდისის ქვეშ აღიარონ ამ თქვენს გაზეთში, თუ შეიძლება მომავალ ნოემბრის პირველამდე, საფუძვლიანად და სინიდისიანად არის ექსპერტებისაგან გადათარგმნილი დავითის ნაწერი, თუ არა და რომელი თარგმანი უფრო ახლოს არის ნამდვილთან: ოლქის სასამართლოს თარგმანი, თუ ექსპერტებისა? მე იმედი მაქვს ეს პირები მიიღებენ სახეში, რომ ამ საქმეში შეიძლება რამდენიმე პირი უმართლოდ დასჯილი იყოს და ულუკმოდ რჩებოდეს და ამისთვის, იმედია, არ დაიზარებენ გამოთქმას თავის აზრისას, თქვენის გაზეთისავე საშუალებით, პირველს ნოემბრამდინ, რადგანაც ამ რიცხვში არის დანიშნული პალატაში ამ საგანზედ საქმე.

გარდა ამისა მივაქცევ ყურადღებას მკითხველთა აი რაზედ:

მთავარს მინგრელიისას ჰქონდა თავისი ჟურნალი, სადაც ყოველთვის თავის ხელით სწერდა შინაარსს იმისას, რასაც თითონ აწერდა ხოლმე ვისიმე თხოვნაზედ. მე წარმოვადგინე

---

*) იხ. «დროება» № 213.

*) Примѣчаніе. Хотя союза «если» нѣтъ въ грузинскомъ текстѣ, но въ немъ глаголъ «усмотритъ» употребленъ въ условномъ наклоненіи, которое въ русскомъ переводѣ безъ прибавленія условной части не можетъ быть выражено.

Подпись экспертовъ.

მეები საქართველოში ძველს ქართულს სიგელებზეა დაფუძნებული; მაგრამ, სამწუხაროდ, სასამართლოებში ისეთნი პირნი არა სხედან, რომ ქართული იცოდენ და თუნდა იცოდენ კიდეც, თავიანთ საყველ-პურო ქართულით ძველის ენისას ვერაფერს გაიგებენ. რაკი თვითონ სასამართლოს წევრთ არ შეუძლიანთ დოკუმენტების გარჩევა, თარჯიმნებს უნდა მიმართონ, იმ თარჯიმნებს, რომელთ ენის ცოდნა და ჩვენში საარაკოდ არის გამხდარი. რასაკვირველია, სასამართლო ხშირად თვითონვე ჰხედავს ხოლმე, რომ თარჯიმნების ანაბარას დარჩენა სამართლის უარ-ყოფაა და იძულებულია მიმართოს სხვა გარეშე პირებს, რომელნიც თითო-ოროლა კიდევ მოიპოვებიან ჩვენს საზოგადოებაში და რომელთაც კიდევ ეხალისებათ ძველის წიგნების კითხვა.

**თ. თ**უმანიშვილის წერილიდამ თითონ მკითხველი ჰხედავს, რომ ეს გარეშე პირნიც ხშირად ვერ მოქმედობენ შესაფერად და მზანი არიან თავაზით ან სხვა გავლენის ქვეშ რომელიმე კავშირი, ან თანდებული მიუმატონ დოკუმენტს, ან გამოაკლონ, თუმცა კარგად იციან, რომ ამ კავშირს, ან თანდებულს შეუძლიან სრულიად შესცვალოს დოკუმენტის აზრი და მოდავეს მთელი მისი მამული დააკარგვინოს.

ამ გვარ ნაკლულევანებას ადვილად ეშველება. ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის მოიპოვებიან იმისთანა ძველის ქართულის მცოდნენი, რომელნიც არ მიხედვენ არც თავიანთ ინტერესს, არც მეგობრობას, არც ნათესაობას და ისე გადათარგმნიან რომელსამე ძველს დოკუმენტს, როგორც სინიდისი და ცოდნა გაუჭრით. შეიძლება, რომ სამს წელიწადში ერთხელ ამ გვარ პირთ შორის ამორჩეულ იქმნენ ექსპერტები, რომელთაც უნდა მიმართავდეს ხოლმე სასამართლო გაჭირვების დროს. შეიძლება აგრეთვე, ყოველს მოდავეს ჰქონდეს უფლება ამ ექსპერტების მოწვევისა და სასამართლოს არ უნდა შეეძლოს უარის თქმა. რასაკვირველია, ბევრნი იტყვიან, რომ ამ შემთხვევაშიაც ძნელია უცილო ჭეშმარიტებას მიაგნოთო, მაგრამ რომ ეს გზა საუკეთესო გზაა სიმართლის აღსადგენად, ამაში, ვგონებთ, ეჭვს ვერავინ შემოიტანს. მაშინ მიდგომას, თავაზიანობას ისეთი ფართო ასპარეზი აღარ ექნება, როგორც ეხლა და ვეღარც «საარაკო თარჯიმანები» დაისაკუთრებენ სასამართლოს და მომჩივარ-მოპასუხის ბედს თავიანთ უმეცარ ენით ვეღარ ათამაშებენ.

## შინაური ქრონიკა

≈≈ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სართიჭალიდამ სოფ. მანავამდე შოსეს გზის გაყვანას აპირებენო. გზამ უნდა გაიაროსო **ს**აგარეჯოზე, **თ**ოხლაურზე, **ჩ**აილურზე და შემდეგ მანავზე გავიდესო.

≈≈ შემოდგომა «ფოსტის ფულის» მოკრეფის დროა. გლეხებს ამ დროს შეუდგებათ ხოლმე წიოკობა და ჩივილტირილი. აი რას გვაცნობებენ იმის თაობაზედ, თუ ზოგიერთა სოფლებში ყოველივე სასოფლო საქმე და თვით ხარჯის გაწერაც როგორ რამდენსამე გავლენიან პირზედ არის დამოკიდებული.

სოფ. ნინო-წმინდას თურმე ხალხი შეძლების კვალობაზედ აპირებდა ხარჯის გაწერას: ვისაც რამდენი დღიური აქვს, ან რამდენი საქონელი, ან ცხვარი ჰყავს, იმის კვალობაზედ მისცესო. ეს აზრი თურმე ყველას მოსწონდა, მაგრამ მამასახლისსა და მწერალს შეუყრიათ ერთს ალაგას ათიოდ კაცი, და შემდეგ ამ საგანზედ მოლაპარაკებისა, მწერალს შეუდგენია სრულიად სხვა შინაარსის განაჩენი; განაჩენში თურმე ეწერა: «ამოვირჩიოთ რამდენიმე პირი და იმათ მივანდოთ მათის სურვილისამებრ ხარჯის გაწერაო». იქ მოგროვილ ხალხს არ მოსწონებოდა ესე გადასხვაფერება, მაგრამ მამასახლისის გავლენას უმოქმედნია და ყველას ხელი მოუწერია. მამასახლისი, მოსამართლეები და მწერალი შეადგენენ ორიოდ პირთან ერთად განაჩენს და შემდეგ კარ-და-კარ დატარებით ძალათი აწერინებენ ხელს სოფლის გლეხებს, რომელნიც სათითაოდ, რასაკვირველია, ძნელად გაბედვენ ამისთანა მძლავრის ხალხის წინაამდეგობას.

≈≈ **ქ**უთაისიდამ იწერებიან, რომ იქაურ სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლებს თავიანთთვის კასსა გაუხსნიათ და 5000 მანეთამდე აქვთო. აგრეთვე ამხანაგობაც შეუდგენიათ საყმაწვილო წიგნების სათარგმნელათა და გამოსაცემათაო.

≈≈ «კავკაზსა» სწერენ **ყ**ვარელიდამ, რომ 10 ოქტომბერს იქ ერთს მილიციონერს კედლის ნანგრევებში ექვსი ას-ას თუმნიანი ბილეთი უპოვნია. ამ ბილეთების პოვნაში რაღაც კავშირსა ჰხედავენ [illegible] წლის წინად მილიციის [illegible]-თან თ. ა—ის კომანდირობის დროს.

≈≈ **ნ**ავთის მწარმოებელთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ამ უკანასკნელის ბაქოში ყოფნის დროს მოულაპარაკნიათ იმის თაობაზედ, რომ ყოველ წელიწადს გამართულ იქმნას ნავთის მწარმოებელთა კრება იმ გვარადვე, როგორც ეხლა მადნის შემუშავებელთა კრება იმართება ყოველს წელს **ს**ამხრეთის **რ**უსეთში. (ბაქ. უწყ.)

≈≈ შულავერიდამ სწერენ გაზ. «კავკაზს», რომ იქაური მაზრის უფროსის თ. აფხაზის მეოხებით ჩვეულებრივი ქურდობა და ცარცვა ძალზედ შემცირებულა. **თ.** აფხაზს დაუვლია ბორჩალოს სოფლები და გავლენიან პირებისათვის შემდეგი ხელწერილი ჩამოურთმევია: თუ თქვენს მხარეს ქურდობა ან ავაზაკობა მოხდეს რამე, ან დამნაშავე უნდა მომცეთ, ან საჭირო ცნობები მის საპოვნელად, ან თქვენ თითონვე გადაიხადოთ, ვისაც რა ზარალი მოუვა ავაზაკებისაგანაო. ამ ზომას, როგორცა ვთქვით, ძალიან კარგად უმოქმედნია და მაშინაცკი საკვირველად ნაკლები ყოფილა ავ-კაცობა, როცა ხალხი ზამთრის ბინიდამ ზაფხულის ბინაზედ გადადიოდა, ან ზაფხულის ბინიდამ ზამთრისაზედ. ძველად ამ შემთხვევაში ბინადარი ხალხი მუდამ შიშში და წვალებაში იყო თურმე ბინიდამ აყრილ თათრებისაგან.

≈≈ ჩვენ მივიღეთ ივლისისა და აგვისტოს წიგნი «ქართულის ბიბლიოთეკისა» ერთად გამოცემული.

---

ის ნამდვილი ჟურნალი პალატაში და ამ ჟურნალში, **№ 2917**, სწერია ამ გვარად, **Выписки из исходящаго журнала владѣтеля Давида Дадiани за 1846 г. 15 октября за № 1846.**

«სასამართლოს მღვდლის ვასილ გეგელიას თხოვნაზედ რომ განიხილა წიგნი ამასთანავე წარმოდგენილი წიგნი მთისათვის და შემდგომიც მთავრისგან ბოძებული წიგნიც და ოდეს მხარეზედ უკან დაინახა მთავრის ბოძებულება იმა ადგილისა მაშინ მისს სიმტკიცესა ზედა დაუტევა სამართლისამებრ.»

ეს არის ნათარგმნი ოლქის სასამართლოსაგან ასე:

«**Управленiю, на прошенiе священника Василiя Гегелiя, что разсмотрѣлъ при семъ представленную грамоту относительно горы и послѣдовавшее отъ владѣтеля бумагу и когда на оборотѣ прошенiя усмотрѣлъ владѣтельное пожалованiе на это мѣсто тогда, по силѣ пожалованiя оставилъ за нимъ, по справѣдливости.**

მხოლოდ ეს საგანიც ექსპერტებისაგან არის გადმოთარგმნილი ესე:

**15 октября подъ № 2917, Управленiю на прошенiи священника Василiя Гегелiя, чтобы оно разсмотрѣло грамоту, при ономъ представленную на гору и послѣдовавшую владѣтелемъ данную грамоту и когда оно усмотритъ пожалованiе той земли со стороны владѣтелей, тогда пусть оставитъ въ своемъ утвержденiи по справѣдливости.**

**(Подписи экспертовъ).**

უნდა ენახა მკითხველს ბ. **ტ**ერ-**ს**ტეფანოვი პალატის სხდომაში, როდესაც ეს თარგმანი ექსპერტებმა წარმოადგინეს, რა რიგად ხმა მაღლა ყვიროდა და უშლიდა ხელებს სასამართლოს წევრთა, აკი მოგახსენეთ რომ **დ**ავით **დ**ადიანს მის დღეში **გ**რიგოლ **დ**ადიანის სიგელი არც უცვნია და არც უბძანებია ქვიბიის ჩაბარება გეგელიებისათვისაო, აი ხომ მე მართალი გამოვედი და ექსპერტებიც იმას მიმტკიცებენო; აი ასე მართალი ვარ იმაშიც, რომ გეგელიებს თავის დღეში სიგელი არა ჰქონიათო. **წ**არმოიდგინეთ, მკითხველო, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი მე; ქართულად არის ნათქვამი: თევზმა სთქვა ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლით სავსე მაქვსო, მეც ისე დამემართა. ვიცოდი კარგად, საიდგანაც და რა რიგათაც წარმოდგა ამისთანა ცხადი უმართლო თარგმანი, მაგრამ უნდა გავჩუმებულვიყავ დრომდის. მე მხოლოდ ერთი საშუალება-ღა დამრჩა: უნდა ამეხსნა და დამემტკიცებინა, რომ ნამდვილი სიგელი თითონ ბ. **ტ**ერ-**ს**ტეფანოვმა და **თ**ომა **ა**ხვლედიანმა ჩაიგდეს ხელში შესყიდვით და ეხლა კი უსირცხვილოდ ამტკიცებდენ, რომ გეგელიებს ეს სიგელი მის დღეში არა ჰქონიათო. მე ვთხოვე პალატას, რომ საქმე პროკურორისთვის გადაეცა და განვაცხადე პალატის წინაშე, რომ მე დავამტკიცებ, ეს სიგელი ბ. **ტ**ერ-**ს**ტეფანოვის და **ა**ხვლედიანის ხელში უნდა ყოფილიყო და თუ არ აღმოჩნდება, უთუოდ განგებ დაუხევიათ იმ აზრით, რომ ჩემს მარწმუნებელს სიმართლე დაუკარგონ-მეთქი. **ა**კი მიბრალა **ღ**მერთმა და პალატა დამეთანხმა (უთუოდ იმ აზრით, ეს ხომ ამას მის დღეში ვერ დაამტკიცებსო და საქმეს თავიდგან მოვიშორებთო). **გ**ამოძიება გადასცეს ბ. **გ**რიგოლ **გ**ამრეკელოვს, **ქ**უთაისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს. ნათქვამია, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი მოუხდებაო. **გ**ასაოცარის მოხერხებით ახსნა ბ. **გ**ამრეკელოვმა ყოველივე მოქმედება **ტ**ერ-**ს**ტეფანოვისა და **თ**ომა **ა**ხვლედიანისა ამ საგანზედ; ჯერ პირველად ჩამოართვა მათ ჩვენება; როდესაც ამათ აჩვენეს, რომ ჩვენ **გ**რიგოლ **დ**ადიანის სიგელი არ გვინახავს და არც არავის გადმოუციაო, ამ დროს თ. **ნ**იკოლოზ მინგრელსკი პეტერბურგში ბძანდებოდა. **თ**ურმე **გ**ამრეკელოვს ამათ ჩუმად გაუგზავნია კითხვა მინგრელსკისათვის, **გ**რიგოლ **დ**ადიანის საბუთი გეგელიებისა არ იცით სად არისო? **წ**არმოიდგინეთ, მკითხველო, თ. **ნ**იკოლოზ მინგრელსკი ისე მოიქცა, როგორც მის ღირსებას ეკადრებოდა,—როგორ არაო, მოსწერა, ეს სიგელი **ე**სტატე **გ**ეგელიამ **ტ**ერ-**ს**ტეფანოვს გადასცა და იმას უნდა ჰქონდესო. **წ**არმოიდგინეთ, რა სასაცილო ამბავი მოხდა: ეს ჩვენი პატიოსანი გმირები, **თ**ომა **ა**ხვლედიანი და **ტ**ერ-**ს**ტეფანოვი გაეხვივნენ, როგორც ჩხიკვი, მახეში. **გ**ამრეკელოვმა დიდ-ხანს აღარ აცალა, შეუდგინა პროტოკოლი ორივეს, მოსთხოვა გირაო და ჩასმას უპირებდა ციხეში. რა ექნათ საწყლებს: ან უნდა ციხეში ჩაბძანებულიყვნენ, ან უნდა ნამდვილი სიგელი გამოეჩინათ, მაგრამ როგორ, ვის საშუალობით?

აქაც სასაცილო კომედია გამოვიდა: დაიჭირეს ვიღაც გლეხი კაცი, მისცეს მას სიგელი და უთხრეს, წადი ეს ქაღალდი წაუღე გამომძიებელს და ასე უთხარი, რომ კნეინა **ე**კატირინეს ეზოში ფეხი წამოვკარ და ვიპოვეო;

შინაარსი: 1) არა, არ არის დანაშაული, რომანი მეტი პირსისა (დასასრული); 2) სენიენელი მსროლელი, ნათარ. ანასტ. თუმანიშვილისა და 3) აკალდამები, მოთხრ. მეგ. ტურისა (დასასრული).

## უცხოეთი

— ბულგარიიდგან მოსული ცნობებიდგან ვტყობილობთ, რომ ბულგარიის კაბინეტის წევრებს გარდაუწყვეტიათ ეხლანდელი სოფიის კრება უკანასკნელად 10 ნოემბერს შესდგეს ბიუჯეტის დასამტკიცებლად და იმ ცვლილებების წინასწარ განსახილველად, რომელნიც უნდა კონსტიტუციიში მოახდინონ. ისაც ნამდვილად გადაწყვეტილია, რომ სამხედრო მინისტრი ხელმწიფე იმპერატორის თანხმობით უნდა დაინიშნოს.

— ტულონში ახლად გამოსული გაზეთი «პეტიბარი» იწერება თურმე, რომ ის სადღეგრძელო, რომელიც რუსის გენერალმა დრაგომიროვმა წარმოსთქვა დიჟონში საფრანგეთის ოფიცრების ყრილობაში, უკანასკნელ მანევრების დროს, ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ ფრანცუზებსაო. ამ ფაქტს არღვევდენ, მაგრამ ტყუილადაო. პეტერბურგიდგან მოსული ამბებიდგან სჩანსო, რომ გენერალი დრაგომიროვი, რომელიც ამ ჟამად მთავარი შტაბის დირექტორად ირიცხება, მალე მიიღებს სამხედრო უწყებაში დიდს რაღაც ადგილსაო. აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ რუსის მმართებლობას მოსწონებია გენერალი დრაგომიროვის ქცევა საფრანგეთში და ამისათვის, თუ საჭიროება მოითხოვს, საფრანგეთმა იმედი უნდა იქონიოს რუსეთზედ, როგორც თავის პოლიტიკურს მოკავშირეზედ.

— პეტერბურგიდგან იწერებიან ოფიციალურ ვენის გაზეთში, რომ ამ ზაფხულს, სამწუხაროდ, იმპერატორების, ალექსანდრესი და ვილჰელმის, ერთმანეთის ნახვა ვერ მოხერხდაო, მაგრამ მაინც კიდევ ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება აქვსთო. ამ დღეებში აქაური გერმანიის ელჩი ბადენ-ბადენიდგან პეტერბურგში მოდის და თან მოაქვს იმპერატორის ვილჰელმის ფრიად მეგობრული წერილი რუსეთის იმპერატორთანაო. ამ წერილში ვილჰელმი იმედს აცხადებს, რომ მომავალს წელიწადში მაინც მოახერხებენ ერთმანეთის ნახვასაო.

— ლონდონიდგან იწერებიან, რომ ინგლისის მმართებლობას დაბოლოვებით გარდაუწყვეტია ეგვიპტიდგან ჯარების გამოყვანა. ნოემბერში გემებით მოიყვანენ იქიდამ ინგლისში 200 კაცს და დანარჩენი ჯარიც დასცლის ეგვიპტეს დეკემბრის ნახევარში. ინგლისური ჟურნალ გაზეთების ბევრი ნაწილი წინააღმდეგია ამ განკარგულებისა და ურჩევს მმართებლობას, სულ არ გამოიყვანოს ეგვიპტიდგან ჯარი და პატარა რაზმი მაინც დაარჩინოს იქ.

— გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს ზოგიერთა გერმანიის ოფიცრებისთვის ნება მიუცია ოსმალეთის სამსახურში შესვლისა. გაზეთების აზრით, ეს გარემოება მუხთარ-ფაშის მისიის შედეგი უნდა იყოს.

— მიდხათ-ფაშის შეწყალების შესახებ იწერებიან, რომ ამას ნება დართეს მექქაში ცხოვრებისაო.

— ბაირუთიდგან იწერებიან, რომ დამასკში ხალხი ძალიან აღელვებულია ოსმალეთის მოხელეებზედაო. კედლებზე გაკრული პროკლამაციები ნახესო; ეს პროკლამაციები არაბებს იწვევს ოსმალეთის მმართებლობის უსამართლოების საწინააღმდეგოთაო. პროკლამაციის დამწერი უთუოდა ვილაც კეთილი, რომელიც მდიდარს ოჯახობას ეკუთვნის თურმე. რაც ამ ოჯახობაში მამა-კაცები ყოფილან ამ დღეებში სულ ერთიანად დაუტუსაღებიათ და სამჯავროს წესით დასჯას უპირებენო; საქმის გარჩევა დაკეტილს სამჯავრო დარბაზში იქნებაო.

— ესპანიის გარეშე საქმეთა მინისტრს რჩევაში წაუკითხავს დიპლომატიური ცირკულიარი, რომელიც სწადიან გაუგზავნოს სამზღვარ გარეთ მყოფთ ესპანიის წარმომადგენელთ ესპანიის გარეშე პოლიტიკის განსამარტებლად. ცირკულიარის სიტყვით, ესპანია ნეიტრალიტეტს დაიცავს გარეშე საქმეებში და საზოგადოდ იმისთანა პოლიტიკას დაადგება, რომელიც საზოგადოდ ყველა სახელმწიფოებისთვის და კერძოდ ესპანიის მოსამზღვრე ქვეყნებისთვის სასიამოვნო იქნება. ესპანია კავშირის დაჭერას არავისთანა არა ფიქრობს, რადგანაც ფინანსის და საზოგადოდ შინაური საქმეები კარგად ვერა აქვს.

— პარიჟში ამბავი მოსულიათ, რომ ახალმა მადაგასკარის დედოფალმა შეჰკრიბა ტამატავაში ჰავასების ყველა წინამძღოლნი და გამოუცხადა—მე გარდავსწყვიტე ფრანცუზებთან ომი არ შევსწყვიტო და ვებრძოლო, ვიდრემდის ღონის-ძიება მექნებაო. ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთის ფლოტი მეორედ დაუშენს ყუმბარებს ქ. ტამატავას, რადგანაც მცხოვრებლები უკვე გარბიან სხვაგან თავის შესაფარებლად.

— ერთი ფრანცუზული გაზეთის რედაქტორს ჰქონია ლაპარაკი დეპუტატს გატინოსთან და უკითხავს ამ უკანასკნელისთვის—მართლა შეგაქვს წინადადება პრინცების განდევნის შესახებაო? გატინოს უპასუხნია: «მე მართლა განზრახვა მაქვს ვსთხოვო მმართებლობას, რომ ყველა პრინცებმა, რომელთ გვარეულობასაც კი ოდესმე უმეფნია საფრანგეთში, დასტოვონ ჩვენი სამშობლო და სხვაგან სადმე წავიდენ; ჩემს წინადადებაში მოყვანილი იქნება ის კანონიც, რომელიც სამშობლოდგან განდევნას შეეხება და რომელიც დამტკიცებულ იქმნა 1831 წელსა ლუი-ფილიპეს მმართებლობის თხოვნით დეპუტატთა პალატისაგან ბურბონების გვარის უფროსი შტოს წინააღმდეგ.

— თქვენი წინადადება ორლეანების და ბონაპარტების პრინცებსა შეეხება?—ჰკითხა რედაქტორმა.

— ჩემს წინადადებაში ყველა ტახტის მაძიებელნი იქმნებიან მოხსენებულნი.

— რა საბუთით ითხოვთ პრინცების განდევნას?

— იმ საბუთით, რომ ისენიც და მათი მომხრენიც წინააღმდეგად იქცევიან. ფროსდორფში პარიჟელმა გრაფმა გრაფი შამბორისგან მიიღო პოლიტიკური მემკვიდრეობა და მას ისე ეპყრობოდენ იქ, როგორც ტახტის მაძიებელს და თითონაც ქაღალდს ხელი მოაწერა, როგორც ტახტის მაძიებელმა. როდესაც ის უკან მოვიდა, სეკრეტარს ბუშეს დააწერინა წერილი, რომელიც ნამდვილი მანიფესტი იყო. ამის გარდა ამ უკანასკ-

---

რასაკვირველია, ეს გლეხი ისე მოიქცა, როგორც დაარიგეს. გამრეკელომ სიგელი და საქმე პროკურორთან წარადგინა, როგორც მოვიქცეო. მან გააწესა, რაკი სიგელი ვიპოვეთ, ტერ-სტეფანოვი და თომა ახვლედიანი გაანთავისუფლეთო; ამას ოლქის სასამართლოც დაეთანხმა. სამართლიანათ გადარჩნენ ეს პირები, თუ არა, ამას თითონ მკითხველი ჰხედავს; მხოლოდ ნამდვილი სიგელი ვიპოვეთ და დღესაც პალატის საქმეებში არის.

ამ საქმის გამოძიებამ ერთი სამწუხარო და გულის საკლავი შედეგი იქონია ერთ მომჩივანს აზნაურს გეგელიაზედ. ეს გეგელია ყველაზედ მომქირნეთ იყო ამ საქმეზედ და ამ საქმის სიმართლისათვის არ უზოგავს არც თავი, არც თავის ქონება; ამას შეეტყო, რომ სოფელს ლანირს ცხოვრობს აზნაური ელიავა, რომელსაც თურმე ჰქონდა ლევან დადიანის საბუთი, მიწერილი მოურავ პოსტა დღებუაძეზედ 1843 წელში ამ გეგელიების საქმეზედ, საიდგანაც სჩანდა, რომ ლევან დადიანს უბძანებია, ქვიბიის მთის ჩაბარება გეგელიებისათვის. ეს საბუთი დიდი საჭირო შეიქნა. იმერეთში ერთი სამწუხარო ჩვეულება არის: როცა ნახავენ, რომ კაცს უჭირს, მაშინ უფრო ხელს მოუჭერენ. თუმცა ვთხოვეთ ამ ელიავას ეს საბუთი, მაგრამ არ მოგვცა უსასყიდლოდ, თუმცა სრულიად არაფერში არგებდა. საწყალს გეგელიას მოსთხოვა სამოცი თუმანი ამ საბუთში. რადგანაც ეს საბუთი ძლიერ საჭირო აღმოჩნდა, გეგელია დაეთანხმა და რადგანაც სახლის კაცები სიღარიბისა გამო ვერ მიუდგნენ ხარჯში, მისცა მას თავის სახელით თამასუქი სამოცი თუმნისა მოკლეს ხნითა და საბუთი გამოართვა, რომ გავიდა ხანი, მოსთხოვეს ფული ვადაზედ, გეგელიამ ვერ მოახერხა ფულის შოვნა, ელიავამ მიიყვანა პრისტავი და სულს აქეთ რაც ჰქონდა სახლში, აუწერა. პრისტავის მოყვანის დროს, შინ დახვდათ ამ გეგელიას ახალ-გაზდა ყმაწვილი და მშვენიერი ცოლი, რომელიც არ მოელოდა ამ უეცარს უბედურებას. წარმოიდგინეთ, მკითხველო, თურმე ამ საწყალს თავის დღეში პრისტავი თვალით არ ენახა. როდესაც მიესივნენ პრისტავი და მისი მხლებლები, ქალი უცებ შეჰკრთა, ათრთოლდა, აუვარდა მწუხარების სისხლი თავში და ეს მშვენიერი და მხიარული ქმნილება ჭკუაზედ შეიშალა. უნდა ქვის გული ჰქონდეს იმას, რომელიც ნახავს ამ საწყალს და გული არ აუდუღდება ამის საცოდაობით; ზის საბრალო ქალი ჩუმად გაშტერებული, სულ კარებისკენ იცქირება, თითქოს პრისტავს ელოდებაო; სადღა არის მისი მხიარული და ცელქი მშვენიერი თვალები, იგინი გამხდარან უაზრონი, ტყვიასავით მძიმენი და უსაგნოდ მისჩერებიან კარებს. საწყალი მისი ქმარი, ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი, გულხელდაკრეფილი უყურებს ამ უბედურებას! აი რა შემძინა, ჩემმა მამულის ერთ-გულებამ, სიმართლის დევნამ და დიდ-კაცთან დავამაო,—შემომძახა მე დიდის ხმით, როდესაც ამ ზაფხულს მივედი ამ საწყლის სახლში: «აკი ამბობდი ჩვენი სიმართლე არ დაიკარგებაო,—მითხრა იმან?—ეს არის შენი სამართალიო? ეს შემეძინაო? აბა ეხლა შენ მიპასუხე, მე რომ ეს დავკარგე,—მიიშვირა ხელი ცოლისკენ,—ამის მაგიერს, ან სამართალი და ან თ. მინგრელსკი რასმე დამიბრუნებსო?» მე ამაზედ აბა რას ვუპასუხებდი, დავღუნე თავი და წამოვედი, კიდევ სამართლის საძებრად. აი, მკითხველო, ნამდვილი სურათი ამ საქმისა. უეჭველია, სიმართლე თავის გზას არ დაჰკარგავს, ამ საწყალს თავისი მამული დაუბრუნდება, მაგრამ ვინ დაუბრუნებს მის საწყალს ყმაწვილს და მშვენიერებით შემკულს ცოლს, მის უდროოდ გამოცლილს გონებას, და საუკუნოდ დაკარგულს მხიარულებას. ვინ იყო მიზეზი იმის უბედურებისა? განა ეს შედეგი უნდა ჰქონოდა ჩვენში ახალ წესდებულებას? განა ამ იმედით შევხაროდით ახალ ცხოვრებას და კანონთან თანასწორობას? თუ ამისთანა მაგალითები მოხდება ჩვენში, ვინ უნდა იყოს მოპასუხე ღვთისა და ხალხის წინაშე ამ გვარი უბედურებისათვის: მომჩივანი, თუ მოპასუხე? მე მგონი არც ერთი და არც მეორე,—პასუხი უნდა აგოს იმ მსაჯულმა, რომელსაც მიუცია წინაშე ღვთისა სასტიკი ფიცი, რომ მიდგომილობით და ანგარიშისთვის სამართალი არ გადაბრუნდოვო და რომელსაც ეს ფიცი დავიწყებია და თრგუნავს უსირცხვილოდ წინაშე ხალხისა და ღვთისა თავის კაცობრიულს მოვალეობას; მას ეკითხოს უბედურება ამ საწყალი გეგელიასი...

თ. დიმიტრი თუმანიშვილი.

...ენი მეტის-მე-
პარტამენტებში
კაპიტულებისა
და ლაპარაკი ...
...არიან ...
...ისათვისაც მე მინ-
და ვსთხ... დეგნა».

— ერთი ფრანცუზული გაზეთი, რომელიც ძალიან მიღებულია სამხედრო ნაწილში, ერთს თავის მოწინავე წერილში, შემდეგსა სწერს სხვათა შორის: «ეს გერმანიის სტატუი, რომელიც დიდის ამბით არის აშენებული რეინის იქითა მხარეზე და რომელსაც ხელი გამოუშვერია საფრანგეთისკენ, არის ნიშანი უოკელთა განზრახვათა და სურვილთა იმ ხალხისა, რომელსაც შურს ჩვენი განათლება, ჩვენი კიდენი და ჩვენი სიმდიდრე, და რომელიც მოცულია მხოლოდ იმ ფიქრით, რომ უოკელივე ესე ან წაგვართვას და თითონ დაისაკუთროს, ან არა და გაანადგუროს და შემუსროს; გერმანიის ჯილაგისა არც ერთი კაცი არ მოიპოვება, რომელსაც არა შურდეს ჩვენი ნიადაგი და ჩვენი საუნჯენი. 1870 წლის ომის მონათა ძმანი და შვილნი, ესლანდელნი სალდათნი, აპირობენ შემდეგ მყობადის ომისა დღესასწაულობას და ქეიფს ბურგუნდიაში, შამპანიეში და ნორმანდიაში. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლიან გავკიცხოთ ჩვენი ამხანაგები, რომელნიც განრისხებით გვიჩვენებენ იმ შეურაცყოფას, რომელიც ბისმარკმა საფრანგეთს მიაყენა მეფე ალფონს მე-XII-ის მოგზაურობის დროს. ეს უმაწვილი კაცი დიდმა კანცლერმა გახადა თავის ზოროტების, თავის გესლიანობის იარაღად. გაზეთები ძალიან პატრიოტულად იქცევიან, რომ გვატყობინებენ პრუსიელების მანქანებას, ჩვენს ქვეყანაში იქაური მუშების მოსვლის და საქონლის მოტანის გაძლიერებას და გასაოცარს ჯაშუშობას, რომელიც გამართული აქვს გენერალ მოლტკეს უმთავრესს შტაბს. გაზეთები პრუსიელთა ამ გვარის ქცევის გამოაშკარავებით გვაფრთხილებენ, გვაჯარადებენ და მუყაითად გვამყოფებენ; ისინი ღირსნი არიან, რომ მათ კითხულობდენ და ფიქრობდენ მათს დანაწერზე. თუ ჩვენ ფხიზლად არ ვიქნებით, თუ დაუდევრობას მივეცემით და იმათს გაფრთხილებას არ მოვისმენთ, შეიძლება, მალე კიდევ შემოგვესიოს მტერი სამშობლოში, დაგვრთგუნოს, აგვაოხროს და სამუდამოდ გაგვანადგუროს ისე, როგორც ოდესმე ძლიერი კართაგენი».

«დროების» ფოსტა.

ფ—ს. გ. ქ. რ—ძეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

ხ—ს. ტ. გ—ძეს. აკი მოგწერეთ მიზეზი-რაცრომ ვერ დავბეჭდეთ მანდაურ სემინარიაში მომხდარი ქურდობის ამბავი (იხილ. „დროება“ № 205). თქვენი ფელეტონი ვერ იბეჭდება; მიხვდებით, რომ ლ—ძის უმეცრების გამხელა არავისთვის საჭირო არ არის.

გ—ელს. თქვენი წერილი ფილოქსერას თაობაზედ არ დაიბეჭდა; ცოტა ძველი ამბები იყო და ფულის მოგროვების რჩევაც ამაო ხმად დარჩებოდა.

# განცხადებანი

უმაღლესის სურვილით

ამ ცოტა ხანში იქნება

## თამაში

XLVI ლოტერეისა

პეტერბურგში გამართულ ბავშვთა თავ-შესაფარი სახლის სასარგებლოდ, რომელშიაც ინახავენ 5000 მოზარდს უმაწვილს.

მოგება სულ 600 ნაწილად არის გაყოფილი და მათგან უმთავრესნი არიან:

ა) ერთი მოგება 225 გირვანქა ვერცხლის (84 პრობისა) სერვიზი, ღირებული . . . 8000 მ.

ბ) ოთხი მოგება—ას-ასი თუმანი . . . . . . 4000 მ.

გ) ორიც—ორმოც-ორმოც-და-ათი თუმანი. . 1000 მ.

დანარჩენი 583 მოგება შესდგება ვერცხლსგან, ოქროსგან და მათი უმაღლესობის ნაბოძების ნივთებიდგან.

ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ბავშთა თავ შესაფარის რჩევის კანცელარიაში, აქ ყაზანის ქუჩაზედ, სახლი № 5 და აგრეთვე იმ ქალაქებში, სადაც ბავშვთ თავ-შესაფარი გამართული არის, როგორც მაგალითად:

თბილისში, ასტრახანში, ოდესაში, როსტოვში და სხვა. აგრეთვე გუბერნატორების განცელარიებში; ერევანში, ბაქოში და სხვა.

ლოტერეის დღე თავის დროზედ გაზეთებში გამოცხადებული იქნება.

მოგება მიეცემა მხოლოდ მთელი ბილეთის წარმომდგენს.

(2—2)

გამსესხებელი კასსა
გრიგოლ ბარამოვისა და კომპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასსის წინ ქუთაისში, 15 და 25 ნოემბერს, გაისყიდება ქალაქის აუკციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელნიც არ გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის მიცემის (ლგოტის) შემდეგ, ოქროსი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10—2)

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქაღალდი, რიფსისა და ბევრი სხვა ნაირიც კონვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები, კლეონკები, თეთრი მეტალის ფონდონსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი 25%-თ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე სხვაგან სადმე ინგლისურს მაღაზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტანსაცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა. ამეებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ მყიდველებს. (10—9)

გიმნაზიის მერვე კლასის

## მოწაფეს

სურს აძლიოს გაკვეთილები. ადრესი «დროების» რედაქციაში. (2—2)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ქუნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაგინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—56)

ინგლისური რკინის კრავატები
ვიწრონი ...



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, ქუნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, საფანგები, ნაჩზები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—10)

ი ნ გ ლ ი ს ი ს   მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—56)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | — |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценузр. Тифлисъ, 26 Октября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.